საქართველოს სსრ. საბჭ. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა
34(05)
1-29.

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ივლისის 15. № 16 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება

140. ლაგოდეხის რაიონის ლელიანის სასოფლო საბჭოდან სოფლების ზემო და ქვემო ხოშტიანის იმავე რაიონის აფენის სასოფლო საბჭოში გადარიცხვის შესახებ.

141. სტალინისის რაიონში აბანოს, ვაყის, და ლართის სასოფლო საბჭოების და აგარის სადაბო საბჭოს დაარსების შესახებ.

142. ასპინძის რაიონში ვანის და ქვემო-ოშორის სასოფლო საბჭოების დაარსებისა და სოფ. ზედა-ვარძიის ნაქალაქევის სასოფლო საბჭოდან შალოშეთის სასოფლო საბჭოში გადარიცხვის შესახებ.

143. ხობის რაიონში პირველი მაისის, ქვემოჭვალონის და ხამისკურის სასოფლო საბჭოების დაარსების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

144. 1934 წლის მოსავლის მარცვლოვანი კულტურების ნათეს ფართობთა დაზომვის შესახებ.

145. 1934 წლის ივნისისათვის ოთხფეხი საქონლის რაოდენობის აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

146. საქართველოს სსრ-ში იონჯის მეთესლეობის განვითარების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

147. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის პურის ვაჭრობის დროებით აკრძალვის შესახებ.

148. საქართველოს სსრ-ში ცენტრალიზებული წესით დამზადებული, 1934 წლის მოსავლის, წიპწოვანი ხილის გამოყენების გეგმის შესახებ

149. ცხენების თვითნებისად დამამზადებელი ორგანიზაციებისა და პირების დაჯარიმების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

150. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხაგურის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განმახორციელებელი ცენტრალური კომისიის მოწყობის შესახებ.

განათლება

151. პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

152. საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის შესახებ ტფილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

140. დადგენილება ც.ა.კ.

ლაგოდეხის რაიონის ლელიანის სასოფლო საბჭოდან სოფლების ზემო და ქვემო ხოშატიანის იმავე რაიონის აფენის სასოფლო საბჭოში გადარიცხვის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გადარიცხულ იქნეს ლაგოდეხის რაიონის ლელიანის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემო და ქვემო ხოშატიანი იმავე რაიონის აფენის სასოფლო საბჭოში.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ საქ ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ეღენტი.**

1934 წ. მაისის 21.
ტფილისი.

---

141. დადგენილება ც.ა.კ.

სტალინისის რაიონში აბანოს, ვაყის და ღართის სასოფლო საბჭოების და აგარის სადაბო საბჭოს დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსებულ იქნეს სტალინისის რაიონში შემდეგი საბჭოები:

1) აბანოს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. აბანოში, და მიეკუთვნოს მას სოფლები: აბანო, საციხური, კოდაეთი და კოდა, რომლებიც გამოიყოს წალვლის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან, და სოფლები ჭვრინისი და ბრეძა, რომლებიც გამოიყოს ავლევის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან;

2) ვაყის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ვაყაში, და მიეკუთვნოს მას სოფლები: ვაყა, ზემო-აძვისი, ქვემო-აძვისი და თერგვისი, რომლებიც გამოიყოს გომის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან, და სოფელი ნაბახტევი, რომელიც გამოიყოს ალის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან;

3) ღართის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ღართაში, და მიეკუთვნოს მას სოფლები: ღართა, ალექსანდრეს-წყარო, ძამა, სათიბები, ლოთხინალა და პატარა თხინალა, რომლებიც გამოიყოს ხცისის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლისა—1938 წლის სექტემბრის 1-ლი. დაევალოს საშუალო სკოლის (ე. ი. საფეხური) ყველა იმ მასწავლებელს, რომელსაც არა აქვს განათლება უმაღლესი სასწავლებლის მოცულობით, მიიღოს დამთავრებული უმაღლესი პედაგოგიკური განათლება, წარმოებისაკან ჩამოუშორებლად, დაუსწრებელ პედაგოგიკურ ინ-სტიტუტში. დაუსწრებელი პედაგოგიკური ინსტიტუტის დამთავრების ზღვრულ ვადად დაინიშნოს 1939 წლის იანვარი.

2. მასწავლებლის მიერ, წარმოებისაგან ჩამოუშორებლად, საშუალო და უმაღლესი (პედაგოგიკური) განათლების მიღების დროს სწავლების თვითეული წელიწადი ჩაეთვალოს მას მუშაობის სტაჟში ორ წლად, ხოლო ისე-კი, რომ ერთობილად ამ წესით ჩათვლილი ვადა არ აღემატებოდეს ხუთ წელიწადს საშუალო განათლების მიღებისათვის შვიდწლედის კურსით, ექვს წელიწადს განათლების მიღებისათვის პედაგოგიკური ტექნიკუმის სრული კურსით და შვიდ წელიწადს განათლების მიღებისათვის პედაგოგიკური უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსით.

ეს მუხლი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1934 წლის სექტემბრის 1-დან.

მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, გამოსცეს ერთი თვის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

3. შემოღებულ იქნეს 1934/1935 სასწავლო წლიდან პრაქტიკად მასწავლებლების ჩარიცხვა პედაგოგიკური ინსტიტუტის უფროს კურსებზე, მისაღებად დამტკიცებული კონტინგენტების ფარგლებში, 2%-მდე იმათ რიცხვიდან, ვინც უფრო წარმატებით სწავლობდა დაუსწრებელ პედაგოგიკურ ინსტიტუტში; ამასთანავე, შეენარჩუნოს მათ ჯამაგირი სამუშაო ადგილას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების ცენტრალურ ორგანოებს, განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, მოხსნან ხოლმე მუშაობიდან სკოლაში ის მასწავლებლები, რომელთაც არა აქვთ სათანადო განათლება და არა ჰსურთ აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია, და შეცვალონ ისინი უფრო მომზადებული მასწავლებლებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების ცენტრალურ ორგანოებს და სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებებს:

ა) უზრუნველყონ საღამოს შვიდწლედებისა და საღამოს პედაგოგიკური ტექნიკუმების მოწყობა;

ბ) მასწავლებლების თვითგანათლებისათვის საჭირო დროის უზრუნველ-საყოფად სისტემატურ მუშაობაში ჩასაბმელად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაწესებულ იქნეს დეკადაში ოთხი საღამო (გამოსასვლელი დღეების გარ-

და), აბსოლუტურად თავისუფალი ყოველგვარი არასასწავლო დატვირთვისაგან სკოლაში და სკოლის გარეშე.

6. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—დაუსწრებელი პედაგოგიკური ინსტიტუტის კონფერენციებისა, სალაბორატორიო მეცადინეობისა და დანაკვეთების ჩაბარების ღროს უზრუნველყონ დაუსწრებელი მასწავლებელნი დახმარებით და სამიმოსვლო საშუალებით ან აუნაზღაურონ მათ მიერ მიმოსვლაზე გაწეული ხარჯები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—სტაბილური სასწავლო წიგნების დამტკიცების ღროს გაითვალისწინოს ამ სასწავლო წიგნებით დაუსწრებელი პედაგოგიკური ინსტიტუტისა, საღამოს ტექნიკუმებისა და შვიდწლედების უზრუნველყოფა.

აღნიშნული სასწავლო წიგნების გამოცემის უზრუნველსაყოფად გამოიყოს 1934 წელს საქართველოს სსრ-ისათვის გამოყოფილი ქაღალდის საერთო ფონდიდან სათანადო რაოდენობის ქაღალდი.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული ასიგნების ფარგლებში—აუნაზღაუროს სამიმოსვლო ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი პედაგოგიკური ინსტიტუტების დაუსწრებელ მასწავლებლებს, რომელნიც დაუსწრებელ სესიებზე მოდიან.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს 1934 წელს იმ მასწავლებლებისათვის, რომელნიც თავიანთ კვალიფიკაციას ამაღლებენ, მოძრავი ბიბლიოთეკები ყველა სარაიონო ბიბლიოთეკასთან და აგრეთვე პედაგოგიკური ტექნიკუმებისა და პედაგოგიკური ინსტიტუტების ყველა ბიბლიოთეკასთან.

10. დაევალოს ქუთაისის საქალაქო საბჭოს—განამტკიცოს სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამმაღლებელი ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც ქუთაისშია მოწყობილი, და დაუსწრებელი პედაგოგიკური ინსტიტუტი და შექმნას მათთვის მტკიცე მატერიალური ბაზისი მუშაობის გასაშლელად. დაევალოს ახალციხის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—განამტკიცოს პედაგოგიკური კადრების კვალიფიკაციის ამმაღლებელი ინსტიტუტის ბაზისი.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შექმნან სპეციალური ფონდი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ხარჯების თანხის 1%-ის რაოდენობით—ამ კვალიფიკაციის ამაღლების უკეთესად ჩამტარებელი რაიონებისა, სკოლებისა, პედაგოგიკური ინსტიტუტებისა, პედაგოგიკური ტექნიკუმებისა და აგრეთვე ამ საქმეში მეტი წარმატების მქონე მასწავლებლების დასაპრემიებლად.

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აქცევს ყველა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს, განსაკუთრებით-კი სახალხო განათლების ორგანოების, ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწარმოებენ სრულიად არასაკმარის მუშაობას სკოლაში მომუშავე მასწავლებლების საერთო და სპეციალურ ცოდნათა ასამაღლებლად, და წინადადებას აძლევს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომეტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს—განუხრელად ჩაატარონ ღონისძიებანი პედაგოგიკური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 22.

ტფილისი.

---

152. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის შესახებ ტფილისში

მოისმინეს რა ამხ. ბერიას ინფორმაცია ტფილისის სტალინის სახ. პირველი სანიმუშო სკოლის პიონერთა თხოვნის შესახებ, საქართველოს სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს განსახკომს შეუდგეს 1935 წელს პიონერთა სასახლის მშენებლობას ტფილისში და გაითვალისწინოს ეს მშენებლობა თავის ბიუჯეტში.

2. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და პროფსაბჭო შეუდგენ 1935 წელს სპეციალურ საბავშვო საავადმყოფოს მშენებლობას ტფილისში, ორთაჭალის რაიონში.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს და პროფსაბჭოს შეუდგენ მიმდინარე წელს საბავშვო სანატორიუმის გადაკეთებას პატარა ცემში იმ პირობით, რომ იგი მთელი წლის განმავლობაში მუშაობდეს.

4. განსახკომმა და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა ერთი სკოლა ტფილისში 1934-35 წლის დამდეგისთვის გადააკეთონ სკოლა-სანატორიუმად.

5. საქართველოს სახკომსაბჭომ ააგოს ტფილისში 1935 წელს ერთი სანიმუშო სასკოლო შენობა.

6. წინადადება მიეცეს ტფილისის საბჭოს და განსახკომს გააფართოონ და შეაკეთონ ტფილისის ამხ. სტალინის სახ. პირველი სანიმუშო სკოლის შენობა და უკეთ მოაწყონ იგი საჭირო სასკოლო ინვენტარით.

7. დაევალოს პროფსაბჭოს, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს, განსახკომს და საქ. ა. ლ. კ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს გაიყვანონ მიმდინარე ზაფხულში პიონერთა რესპუბლიკურ ბანაკებში 2.000 ბავშვი—სწავლის საუკეთესო დამკვრელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მოხდეს ტფილისის კამოს სახ. საუბრიკო-საქარხნო სკოლის რეკონსტრუქცია იმგვარად, რომ სკოლაში სპეციალურად მოეწყოს პოლიტექნიკური ინვენტარის და სასკოლო მოწყობილობის წარმოება, აგრეთვე საბავშო სათამაშოების წარმოება.

9. დაევალოს საქართველოს განსახკომს და სახელგამს გადასინჯონ და გაადიდონ საბავშვო ლიტერატურის გამოცემის გეგმა, ჩააბან საბავშვო ლიტერატურის გამოცემაში საუკეთესო მწერლები და მხატვრები, ამასთან გაადიდონ მათთვის ჰონორარი 35 პროცენტით მაინც. გააიაფონ საბავშვო ლიტერატურის ღირებულება 30—40 პროცენტით.

10. დაევალოს ტფილისის საბჭოს მუშგლეხინის ყოფილი შენობის განთავისუფლების შემდეგ შეუდგეს ანასტასია წერეთლის შენობის განთავისუფლებას მასში საბავშვო მუზეუმის მოსაწყობად.

11. წინადადება მიეცეს განსახკომს წარმოადგინოს თავისი წინადადებანი ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის უკეთესად მოწყობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 136 №-ში 1934 წ. ივნისის 14.

საქართველოს სსრ ლენინის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 31 პ/მ რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 1 1/8 ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბის ნიშანი
გადაეცა სტამბას 5/VI, ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VII; ტირაჟი 1.600

მთავლიტი რწმ. ს.—№ 53 საქ. სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 1047